პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ ივნისი

ქ. წყალტუბო

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის ''უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის შემცირების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ივნისის 48-4822157113 წერილი, რომლითაც ითხოვს თანხმობას შპს ,, სანატორიუმ წყალტუბოს '' დირექტორის განცხადების საფუძველზე, დასვენების პარკის მოწყობის მიზნით (მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები, გრძელი სკამები, ბავშვთა კუთხე, განხორციელდება ადრე არსებული აუზის რეაბილიტაცია, იმოძრავებს გადასაადგილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები) 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N29.08.34.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ: 3673.23 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად. აღნიშნული უძრავი ქონება (7094.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები. სპორტის სასახლე) საკრებულოს თანხმობით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის''. იმისათვის, რომ შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' იჯარის უფლებით გადაეცეს 3673.23 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უნდა შემცირდეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის'' უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის ''უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის შემცირების შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

შესრულებელია :

მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი — მარიამ კუჭავა

შეთანხმებულია :

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — მაია ბერაძე

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4822157113**
თარიღი: **06/06/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' დირექტორის ვახტანგ კეკუას განცხადება (თან ერთვის), რომელიც ითხოვს დასვენების პარკის მოწყობის მიზნით (მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები, გრძელი სკამები, ბავშვთა კუთხე, განხორციელდება ადრე არსებული აუზის რეაბილიტაცია, იმოძრავებს გადასააგდილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები) 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N29.08.34.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ: 3673.23 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად. აღნიშნული უძრავი ქონება (7094.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები. სპორტის სასახლე) საკრებულოს თანხმობით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის''. იმისათვის, რომ შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' იჯარის უფლებით გადაეცეს 3673.23 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უნდა შემცირდეს აიპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის'' უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, შემცირდეს აიპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის'' უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge